საქართველოს მთავრობის
დადგენილება

N 324 2019 წლის 10 ივლისი ქ. თბილისი

„ფარმაცევტული პროდუქტის საბითუმო რეალიზაციის პირობების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2017 წლის 25 აპრილის №206 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1. „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, „ფარმაცევტული პროდუქტის საბითუმო რეალიზაციის პირობების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2017 წლის 25 აპრილის №206 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge; 26/04/2017; 470200000.10.003.019915) შეტანილ იქნეს ცვლილება და დადგენილებას პირველი მუხლის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის 1^1 და 1^2 მუხლები:

„მუხლი 1^1. ფარმაცევტული პროდუქტის საბითუმო რეალიზატორი ვალდებულია, დააკმაყოფილოს საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური

დაცვის სამინისტროს (შემდგომში – სამინისტრო) მიერ აღიარებული/დამტკიცებული კარგი სადისტრიბუციო პრაქტიკის (GDP) სტანდარტი, 2022 წლის 1 იანვრიდან.

მუხლი 1[2]. გარდამავალ ეტაპზე, 2019 წლის 1 ივლისიდან 2022 წლის 1 იანვრამდე, სამინისტროს სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებული სსიპ – წამლის სააგენტო უფლებამოსილია, საბითუმო რეალიზატორის მოთხოვნისა და შესაბამისი საფასურის გადახდის საფუძველზე, უზრუნველყოს საბითუმო რეალიზატორის სამინისტროს მიერ აღიარებული/დამტკიცებული კარგი სადისტრიბუციო პრაქტიკის (GDP) სტანდარტისადმი შესაბამისობის დადგენა და, შესაბამისობის დადასტურების შემთხვევაში, GDP-ის სერტიფიკატის გაცემა.“.

მუხლი 2. დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

პრემიერ-მინისტრი **მამუკა ბახტაძე**